



პირველი გამოშვება

ჩვენი უნივერსიტეტის ენების ცენტრში 2011 წლის გაზაფხულის სემესტრიდან ფუნქციონირებს მთარგმნელ-თარჯიმანთა უმაღლესი კურსები. აღნიშნული კურსები დაარსდა ენების ცენტრის ხელმძღვანელის ოთარ მათეშვილის მიერ (კურსებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი უნივერსიტეტის საიტი).

ჩვენ ვთხოვეთ ბატონ ო. მათეშვილს, მოკლედ მოეთხრო აღნიშნული კურსების შესახებ:

- მთარგმნელ-თარჯიმანთა უმაღლესი კურსების შექმნა ჩვენს უნივერსიტეტში მოტივირებული იყო იმ გარემოებით, რომ საქართველოში პროფესიონალ (პრაქტიკოს) მთარგმნელებსა და თარჯიმნებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა. მსურს, ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ გადავუხადო დიდი მადლობა უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ სერგო ვარდოსანიძეს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ანდრიაძეს და კანცლერს, ბატონ თამაზ ვაჩაძეს კურსების შექმნის იდეის მხარდაჭერისთვის. უნივერსიტეტში გამოიყო ერთი აუდიტორია, რომელიც აღიჭურვა სინქრონული თარგმნისთვის აუცილებელი აპარატურით; ჩატარდა საკმაოდ შრომატევადი სამუშაო (სასწავლო მოდულებისა და გეგმების, სილაბუსების შედგენა, პროფესიონალი მასწავლებლების მოძიება, მსმენელთა შესარჩევი ტესტების მომზადება და ა.შ.). კურსებზე ირიცხებოდა 13 მსმენელი (9 - ინგლისური და 4 - გერმანული ენით). იანვრის ბოლოს გერმანული ენის ჯგუფმა დაასრულა კურსი და მათ გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო მასწავლებლებს - ერეკლე ჩიგოგიძეს, მარინა ქურდაძეს, ლელა ებრალიძეს, მანანა ტაბიძეს განუვლი საქმიანობისთვის.

ვფიქრობ, რომ ყველაზე ობიექტურად მთარგმნელ-თარჯიმანთა უმაღლეს კურსებს, აქ გატარებულ ორ სემესტერს თვითონ კურსდამთავრებულები შეაფასებენ.

კურსდამთავრებულებს - ხათუნა ნაყეურს და თეა ვარდოსანიძეს ვთხოვეთ პასუხი გაეცათ რამდენიმე კითხვაზე:

1. თქვენ გერმანულ ენას საკმაოდ კარგად ფლობთ. რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?

ხათუნა ნაყეური, ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში, თარჯიმანი:

- კარგი კითხვაა. ენის ფლობა პირობითი შეფასებაა და მიმაჩნია, რომ უცხო ენის შესწავლა მუდმივი პროცესია. მოგეხსენებათ, რომ არსებობს თარგმანის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები, რომლებიც,

მე, როგორც გერმანისტს ხშირად მჭირდება. მართალია, თარჯიმნად მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება მაქვს და გერმანულ ენასაც კარგად ვფლობ, მაინც გადავწყვიტე მესწავლა აღნიშნულ კურსებზე, რათა ჩემი ცოდნა კიდევ უფრო გამეღრმავებინა. ყოველთვის ვკითხულობდი, იყო თუ არა მსგავსი ტიპის კურსები საქართველოში. როდესაც გავიგე, რომ თქვენს უნივერსიტეტში გაიხსნა იგი, მაშინვე მივმართე ენების ცენტრს. მახარებს ის ფაქტიც, რომ ჩვენ პირველი გამოშვება ვართ.


თეა ვარდოსანიძე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო საქართველოში,

კულტურის განყოფილების თანამშრომელი:

- ყოველთვის მაინტერესბდა, თუ რაში მდგომარეობდა თარგმნის ხელოვნება, მისი საიდუმლოება, მრავალფეროვნება და შემოქმედებითობა. ზოგადად უცხო ენის, თუნდაც კარგად ფლობა, არ ნიშნავს თარგმნის ცოდნას, რადგან თარგმნა ისეთივე შემოქმედებითი პროცესია და ისეთივე უსასრულო, როგორც თვით ხელოვნება.

2. როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?

ხათუნა ნაყეური:



ხათუნა ნაყეური

- სწავლების ორგანიზებას რაც შეეხება, მინდა გითხრათ, რომ იგი სტუდენტების მოთხოვნებზე იყო მორგებული და სრულად ითვალისწინებდა აკადემიური საათების რაოდენობას. ვთვლი, რომ ასეთი ხელშეწყობა დასაქმებული კურსანტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

თეა ვარდოსანიძე:

- ძალიან მიხარია, რომ ქართულ უნივერსიტეტში

მომეცა საშუალება გამეცლო მთარგმნელ/თარჯიმანთა ერთ წლიანი უმაღლესი კურსი. სწავლება მიმდინარეობდა პატარა ჯგუფში, რამაც სწავლების ინტენსიურობას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. ლექციათა საინტერესო ნაკრები, სწავლების მაღალი დონე, თბილი და გულისხმიერი დამოკიდებულება ჯგუფის მიმართ იყო მთელი წლის განმავლობაში ჩემთვის ძალიან დიდ სტიმულის მომცემი. ყველაფერ ამისთვის კი განსაკუთრებული მადლობა ბატონ ოთარ მათეშვილს, რომელიც თავისი კეთილგანწყობით მთელი ამ ხნის განმავლობაში მუდამ მხარში გვედგა.

3. რას იტყვოდით მასწავლებლების შესახებ?

ხათუნა ნაყეური:

- ჩვენი პედაგოგები მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ. ჩემთვის ყოველი გაკვეთილი უაღრესად სასიამოვნო და ბევრის მომცემი იყო. გული მწყდება, რომ მათ ხშირად ვეღარ შევხვდები.



თეა ვარდოსანიძე

თეა ვარდოსანიძე:

- რა იქნებოდა მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლესი კურსი, რომ არა ისეთი შესანიშნავი ლექტორე-

ბის ნაკრები, როგორებიც არიან ქალბატონი მანანა ტაბიძე, მარინა ქურდაძე, ლელა ებრაღიძე და ერეკლე ჩიგოგოძე. ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერება და პატივია, თუნდაც ერთი წელი ვყოფილიყავი მათი სტუდენტი. დღის დატვირთული გრაფიკი და საღამოს დაღლილობა ლექციების დაწყებისთანავე სრულდებოდა, რადგან ლექტორების შემოქმედებითი მუშაობა, მათი ძალისხმევა და გულისხმიერება იძლეოდა უზარმაზარ ენერგიასა და სტიმულს. ყოველივე ამისათვის მათ ძალიან, ძალიან დიდი მადლობა!

4. გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?

ხათუნა ნაყეური:

- ჩემი მოლოდინი სრულიად გამართლდა. თეორიულ ცოდნასთან ერთად მივიღე ის გამოცდილება და თავდაჯერებულობა, რაც ჩემს პროფესიაში ძალიან საჭიროა. ვისაც პროფესიული კუთხით ზრდა სურს, ეს კურსები მათთვის წინსვლის საუკეთესო საშუალებას იძლევა. კურსების ფარგლებში შესაძლებელია სინქრონული თარგმანისთვის საჭირო აპარატურით სარგებლობა. მინდა გითხრათ, რომ საქართველოში მსგავსი შესაძლებლობა არც ერთ სხვა უმაღლეს სასწავლებელში არ არის.

თეა ვარდოსანიძე:

- თითქოსდა ასე სწრაფად და შეუმჩნევლად გაიფრინა ერთმა წელმა, თუმცა ძალიან ნაყოფიერად! შეუძლებელია თარგმნის ხელოვნებას ერთ წელიწადში დაეუფლო, რადგან ეს, ჩემი აზრით, ხანგრძლივი, პრომატევეადი და ინტენსიური პროცესია; თუმცა, პირველი ნაბიჯები გადაიდგა და ყველას, ვინც ფიქრობს მოსინჯოს თავისი შესაძლებლობები და დაეუფლოს ამ ხელოვნებას, გულითადათ ვურჩევ, მიმართონ თქვენი უნივერსიტეტის მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებს. თავად კურსებს კი ვუსურვებ ხანგრძლივ და წარმატებულ მოღვაწეობას, რათა ბევრი სასახელო მთარგმნელი აღეზარდოს.